ხელშეკრულება N272სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV- 39715220)

ქ. თბილისი „03“ „ნოემბერი“ 2016 წ.

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 ტელეფონი: **38-14-25**, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის **სოფიო ლონდარიძის** სახით და **შპს „ტექ“** (მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის 116, დიდუბე პლაზა, ოფისი 202; ტელ: 2550 800; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი“ ანგ. N: GE20TB7725436020100004; ბანკის კოდი: TBCBGE22; ს/კ 404954484), შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვაჟა მამნიაშვილი** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება“** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **„დღე“, „კვირა“, „თვე“** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 **„შემსყიდველი"** - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 **„მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 **„საქონელი"** - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

დენის გამათბობელების მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად.
(CPV- 39715220)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **268 (ორას სამოცდარვა) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს **2 ცალი დენის გამათბობელების მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად,** რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მე-2 მუხლით გათვალისწინებილი საქონლის მიწოდებაზე ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და 4.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

5.2 მიწოდებულ საქონელზე მოქმედი გარანტიის ვადა მითითებულია ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართი #1-ში და აღნიშნული ვადა აითვლება მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს/ენ: სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის **სამეურნეო სამსახურის უფროსის მ/შ ზურაბ ენაგელი.**

6.3 ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის განმავლობაში, შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ქარხნული ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), ან უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ კონკრეტულ ნივთზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად. თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს წუნდებული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას და წუნის გამოსწორება შეუძლებელია, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის (მათ შორის შუალედურის) სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი/ები.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტითა და 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას მისთვის განსაზღვრულ დამატებით ვადაშიც , ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 და მე-10 მუხლები მოქმედებენ 5.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ეროვნული არქივი მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1, ტელეფონი: 238-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ -211358957	შპს „ტექ" მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის 116, დიდუბე პლაზა, ოფისი 202; ტელეფონი: 2550 800; საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი" ანგ.N: GE20TB7725436020100004 ს/კ 404954484

დანართი №1

N	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	CPV	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	გარანტია
4	**ზეთის გამათბობელი - MIDEA NY23ERF-11L** **მართვა** - მექანიკური; **გასათბობი ფართი** - 28 მ²; **სიმძლავრე** - 2300 W + 500 W; **სექციების რაოდენობა** – 11; **დამატებითი მახასიათებლები:** ინტეგრირებული თერმოსტატი, გადახურებისაგან დაცვა, გათბობის 3 რეჟიმი, გაყინვის საწინააღმდეგო ფუნქცია, ინსტალირებული თერმული დამცავი, ვენტილატორი, გადასაადგილებელი სახელური, გორგოლაჭები ადვილად გადასაადგილებლად. **ფერი** - თეთრი	2	134	268	39715220	ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღე	ვაჟა-ფშაველას №1	ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი
	სულ თანხა, **დღგ-ს ჩათვლით: 268 (ორას სამოცდარვა) ლარი**							

შემსყიდველი

საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი:
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22,
სახელმწიფო ხაზინა,
ანგ.# GE24NB0330100200165022,
ს3 - 211358957

მიმწოდებელი

შპს „ტექ"
მისამართი:
ქ. თბილისი, ა. წერეთლის 116, დიდუბე პლაზა, ოფისი 202;
ტელეფონი: 2550 800;
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი"
ანგ.N: GE20TB7725436020100004
ს/ꜳ - 404954484